ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N1/124

ქ. ბათუმი 08 ივნისი 2023 წ.

ერთი მხრივ **სსიპ „ბათუმის ბულვარი“, დირექტორის პირველი მოადგილე, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა მიქელაძის** სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ **შპს “პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE ”, დირექტორის სალომე კიკვაძის** სახით (შემდგომში - “მიმწოდებელი”), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ***სხვადასხვა სახის საკანცელარიო ნივთების*** გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა, (შემდგომში – “საქონელი”), შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით;
1.2 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი - 30100000 საოფისე მანქანადანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა, კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი 30192000-საკანცელარიო ნივთები.
1.3 დაფინანსების წყარო: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი.**
1.4 შესაძენი საქონლის დასახელება და რაოდენობა მოცემულია **დანართი N1-ში**.

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

2.1.მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება (დ.ღ.გ-ს ჩათვლით) შეადგენს **5054.10 (ხუთი ათას ორმოცდათოთხმეტი ლარი და 10 თეთრი)** ლარს.
2.2. საქონლის ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
2.3. შემსყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
2.4. მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, საქონლის მიწოდების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით.
2.5. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან ერთად დააფიქსიროს მიწოდებული საქონლის ღირებულება.
2.6. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მისაწოდებელი საქონლის მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს მიუწოდებელი საქონლის მოცულობების ანაზღაურებაზე.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს **სსიპ "ბათუმის ბულვარი"-ს ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გოჩა მამულაძე.**
3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის საქონლის ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.
3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. საქონლის შესაბამისობა და მიღება – ჩაბარება

4.1. საქონელი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ სტანდარტებს.
4.2. 4.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.
4.3. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
4.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
4.5. საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) წარმოდგენის შემდეგ, საქონლის მიწოდების ადგილზე.

5. საქონლის მიწოდების ვადა ადგილი და ფორმა

5.1 მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს: ***ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.***
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას.
ბ) საქონლის მიწოდების დამოწმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.
გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის სრული ღირებულება, საქონლის მიწოდების დასრულებისთანავე.
6.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
ბ) შემსყიდველის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს საქონელი.
ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
7.2. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:
ა) მიმწოდებელმა არ მიაწოდა საქონელი ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.
ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.
7.3. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
7.4. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიმწოდებლისათვის მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით უხდის მომსახურების ღირებულების 0.02%-ს ყოველი ვადგადაცილებული დღისთვის.
7.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს, მიმწოდებელს უფლება აქვს ვადამდე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.6. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.
8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

8.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა
8.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.
8.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია: ***2023 წლის 08 ივნისიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით.***

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულკების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. გადასახადები და ბაჟები

12.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. გარანტია

13.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
13.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
13.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების

გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის ან მეორე მხარის მისამართზე:
ა) მიმწოდებელი: salomekikvadze@storno.ge, ქ. ბათუმი, ერისთავის N5. ჩიხი1.
ბ) შემსყიდველი: a.bolkvadze@boulevard.ge, ქ. ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ #2;
14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. სხვა პირობები

15.1. ყველა სხვა საკითხი, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებით გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც დამოწმებულია მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით და ინახება მხარეებთან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

“შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
სსიპ ”ბათუმის ბულვარი”	შპს „პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE”,
მის: კ.გამსახურდიას ქ. N2, ტ: 27 88 08 სახელმწიფო ხაზინა ბ/კ: TRESGE22 ა/ნ: 740387519 ს/კ: #245630786	მის: ქ. ბათუმი, ერისთავის N5. ჩიხი1 მ/ნ: 577 20 37 20 სს “პროკრედიტ ბანკი“ ბ/კ:MIBGGE22 ა/ნ: GE13PC0193600100011836 ს/კ: 445427119
სსიპ ”ბათუმის ბულვარი” -ს დირექტორის პირველი მოადგილე, დირექტორის მ/შ	შპს „პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE”-ის, დირექტორი
Lasha Mikeladze ----------------------------/ლ.მიქელაძე/ Подписано цифровой подписью: Lasha Mikeladze Дата: 2023.06.08 12:29:51 +04'00'	- /ს. კიკვაძე/

Salome Kikvadze 61001050902
Digitally signed by Salome Kikvadze
Date: 2023.06.08 13:50:22

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	კალამი ბურთულიანი Bullet tip 0.7mm BLACK Q20BK , DELI	ცალი	30.00	0.55	16.50
2	დაფის მარკერი EU00130 Blue, DELI	ცალი	10.00	0.90	9.00
3	სახაზავი პლასტიკური სმ 6220	ცალი	30.00	0.70	21.00
4	საქაღალდე პლასტიკური კლიპ ფაილი ზამბარით A4 SH0192	ცალი	30.00	2.50	75.00
5	7331 Energizer Max Plus ALK AA BP5 4+1 ელემენტი	შეკვ.	8.00	8.90	71.20
6	2374 Energizer ელემენტი Alkaline Power AAA BP1X12 SG H EU	შეკვრა	40.00	1.50	60.00
7	რვეული 48ფ."EUROPAP" (უჯრა)(12)	ცალი	10.00	1.25	12.50
8	0394-რვეული ა-4 -96ფურ/0096	ცალი	10.00	3.50	35.00
9	სწრაფჩამკერი პლასტიკური 39535 6935205395351	ცალი	200.00	0.95	190.00
10	3259-სტეპლერი 24/6, N0325, 20ფ (DELI)	ცალი	15.00	5.30	79.50
11	ბაინდერი განიერი A4 554	ცალი	100.00	4.80	480.00
12	ფანქარი 2B (12 ცალი) E37000	შეკვრა	10.00	4.00	40.00
13	სათლელი ორიანი YL191615	ცალი	40.00	1.50	60.00
14	კლიფსი მეტალის ფერადი 25მმ (შეკვრაში 48ცალი) 8554	შეკვრა	4.00	9.10	36.40
15	კლიფსი მეტალის ფერადი 32მმ (შეკვრაში 24ცალი) 8553	შეკვრა	10.00	6.50	65.00
16	კლიფსი მეტალის ფერადი 41მმ (შეკვრაში 24ცალი) 8552	შეკვრა	5.00	10.55	52.75
17	მაგიდის კალენდარი ზამბარიანი	ცალი	20.00	6.50	130.00
18	საშლელი ფერადი YL90006	ცალი	40.00	0.50	20.00
19	M21-1964საერ კალამი	ცალი	200.00	1.05	210.00
20	კალამი მელნიანი წითელი N S01 (DELI) (6935205320018)	ცალი	30.00	1.20	36.00
21	ბლოკნოტი A6 100ფ 3314	ცალი	25.00	9.15	228.75
22	ფაილი A4 0.50 (100ც) 30350 (25)	შეკვ.	80.00	10.00	800.00
23	8377-კალკულატორი N837 (DELI) (20)	ცალი	10.00	14.90	149.00

24	0210-ჭიკარტი ლურსმანი(35ცალი) 0021 (6921734900210)	შეკვრა	5.00	2.10	10.50
25	კალამი ლურჯი 555	ცალი	300.00	0.20	60.00
26	წებო მშრალი 15გრ LF1016	ცალი	24.00	0.80	19.20
27	6003-ტექსტ მარკერი S600 (10/100)	ცალი	80.00	1.50	120.00
28	0023-მაკრატელი N 6002 (DELI) (6921734960023)	ცალი	30.00	5.40	162.00
29	დანა საკანცელარიო 5 სათადარიგო დანის პირით 2068 (12)	ცალი	30.00	8.30	249.00
30	სკოჩი 12მმ*14მ 30011	ცალი	50.00	0.25	12.50
31	სკოჩი დიდი 45მმX40y 30181	ცალი	20.00	2.55	51.00
32	2290-სტეპლერი №10, 12ფ, N0229 (DELI) (12)	ცალი	15.00	4.70	70.50
33	საკალმე ბადე ჭიქა ფერადი 802	ცალი	15.00	2.50	37.50
34	2701 კალკულატორი დიდი 14 თანრიგიანი 1654C (6935205392701)	ცალი	10.00	26.50	265.00
35	6000-ჩასანიშნი ქაღალდი ყუთით 91/87 N 7600 (DELI) (24/96)	შეკვრა	40.00	4.50	180.00
36	700501ქაღალდი შენიშნისთვის წებოვანი	ცალი	40.00	4.50	180.00
37	M19-4573DC140 კორექტორიFLUID	ცალი	48.00	1.25	60.00
38	საქაღალდე პლანშეტი სამდივნო ორყდიანი ტრ19 (ტრ195575) (60)	ცალი	10.00	3.90	39.00
39	ორგანაიზერი სამაგიდე ნაკრები 17 საგნიანი 382511	ცალი	10.00	26.80	268.00
40	ბლოკნოტი 6625	ცალი	6.00	8.20	49.20
41	ბლოკნოტი	ცალი	12.00	9.50	114.00
42	700363 ბლოკნოტი	ცალი	1.00	8.50	8.50
43	702076 ბლოკნოტი	ცალი	2.00	6.55	13.10
44	700331ბლოკნოტი	ცალი	6.00	9.50	57.00
45	ბლოკნოტი	ცალი	4.00	8.25	33.00
46	ბლოკნოტი 205x143, 22215 DELI	ცალი	2.00	15.00	30.00
47	ბლოკნოტი 3196 (6921734931962)	ცალი	1.00	33.00	33.00
48	კალამი ბურთულიანი ვ5	ცალი	35.00	1.20	42.00
49	კალამი ლურჯი 555	ცალი	50.00	0.25	12.50
საერთო ჯამი					**5054.10**